წერილის ნომერი: **38-3824353242**
თარიღი: **18/12/2024**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

თქვენი 2024 წლის 22 ოქტომბრის N01/1577 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე: ს/კ: 02.02.02.1003 და ს/კ: 02.02.02.1002 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამასთან, მითითებული საკადასტრო ერთეულები „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად **ს/კ N02.02.20.1003 მდებარეობს გამწვანებულ ტერიტორიაზე (გტ), ხოლო ს/კ N02.02.02.1002 მიწის ფართობი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ 3) (იხ. დანართი).**

დადგენილების დანართი 3-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საშუალო ინტენსივობის **საცხოვრებელი ზონა (სზ-3)** წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის არაერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა. **მშენებლობის ნებადართული სახეობებია:** ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; სასტუმრო; სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას; საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური); მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს; რელიგიური/ საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი; სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი; ადმინისტრაციული ობიექტი; ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა; ოფისი; ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს: მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს; სავაჭრო ცენტრი.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 400 მ 2 , ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისთვის 600 მ 2 , ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

დადგენილების დანართი 3-ის IX მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: **გამწვანებული ტერიტორია (გტ)** - არის ნაშენ გარემოში არსებული გამწვანების ობიექტი (მაგალითად, ბულვარი, პარკი, ბაღი, სკვერი, გაზონი), რომლის ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაცულია წყალგამტარიანობა (კ-3), სადაც შესაძლებელია მოეწყოს დასასვენებელი/გასართობი ადგილები, სპორტული, სათამაშო, საკემპინგე,

საქალაქო მებაღეობა, საბანაო ადგილები. გამწვანებულ ტერიტორიებს ასევე მიეკუთვნება სასაფლაოები, რომლის მოწყობა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

რაც შეეხება, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, აღნიშნული ტერიტორიის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის ნაკვეთის (ს/კ: 02.02.02.1002) გასხვისების პროცედურები, ხოლო რაც შეეხება, მიწის ნაკვეთს (ს/კ: 02.02.02.1003) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია წინააღმდეგია განხორციელდეს მისი გასხვისების პროცედურები.

დანართი: 2 pdf ფაილი.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

020202876
0200114
020202728
020202789
0202021005
0202021003
0202021004
020202920
020202919
0202021002
0200227
020202531
020202564
0200186
0200001
020202918
0200076
020202866
0200166
0200019

სზ-3 არსებული
020202945
0200076
020202799
020202869
020202869
სზ-3 საპროექტო
020202789
020202728
სზ-3 არსებული
020202436
0202021005
ტზ საპროექტო
ტზ საპროექტო
სზ-3 არსებული
020202876
0202021003
0202021004
გტ საპროექტო
020202919
020202920
020202531
0200227
0200114
0202021002
0200186
0200001
სზ-3 არსებული
020202564
020202918
020202866
0200166
0200019
0200129
020202788
020202929
020202867